ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს ,,ელჯგუფი"

საფუძველი: 12.13212311-16 31.07.2013წ.

მისამართი: მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტი,

საკ.კოდი: 01.72.14.013.489

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №704364 11.06.2013წ. AR1123014

ფუნქციური დანიშნულება: სამრეცხაო-ქიმწმენბა (III კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (15.08.13) დადგინდა:

ფასადებზე შეცვლილია ზოგიერთი ვიტრაჟის ნახატი. კედლებზე არ არის შესრულებული დეკორატიული ლესვის ხაზები. დამატებულია გამწოვი მილები და ღიობები. ხის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია ლითონის. +3.00 ნიშნულზე ვიტრაჟებზე არ არის მოწყობილი ხის პანელები. შენობის ძირი არ არის ბაზალტის ხელოვნური ფილებით მოპირკეთებული. დამატებულია კონდიციონერები. კონსოლის ქვეშ დამატებულია ვერტიკალური ხაზები.

ფასადი 1-10 ღერძებში: 1-4 მონაკვეთში შეცვლილია ორი ბაქნის ფორმა. 4^1-5 მონაკვეთში შემცირებულია კიბის საფეხურები. 6-10 მონაკვეთში გაზრდილია სამეურნეო სათავსოს სიმაღლე, გაზრიდლია ფანჯარა სიგრძეში და აწეულია ზევით. ორ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი და 9-1 მონაკვეთი შესავსებია კედლებით. სახურავზე დამატებულია პარაპეტი, ასევე მოწყობილი ლიტონის ფერმები არ არის ასახული პროექტში.

ფასადი ა-ზ ღერძებში: +0.00 ნიშნულზე $ა^1$-გ მნაკვეთში შემცირებულია კიბის საფეხურების გაბარიტი. $დ^1$-$ე^1$ მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი და მოწყობილია ბაქანი. $დ^1$-ე მონაკვეთში კარის მაღლა და ე-ზ მონაკვეთში გაუქმებულია ორი ფრამუგა. დ-ზ მონაკვეთში +2.80 ნიშნულზე შემცირებულია ვიტრაჟი სიმაღლეში. +6.00 ნიშნულზე 6-6 და დ-დ ღერძებზე შეცვლილია კუთხის ფორმა.

ფასადი 10-1 ღერძებში: 10-6 მონაკვეთში დამატებულია ფანჯარა. +8.245 ნიშნულზე 6-4^1 მონაკვეთში გაზრდილია კედლის პანელით მოპირკეთება.

ფასადი ზ-ა ღერძებში: ზ-დ მონაკვეთში დამატებულია ორი ღიობი.

+3.00 ნიშნულზე 4^1-4^1 ღერძზე დ-გ მონაკვეთში სამი ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია ორი ფანჯარა გაზრდილია მათი გაბარიტი და მონაცვლებული აქვთ ადგილი.

სახურავზე ტეგოლას ტიპის გადახურვის ნაცვლად მოწყობილია თუნუქის ფურცლით გადახურვა.

ტერიტორიაზე შემცირებულია გამწვანების ზოლის გაბარიტი.

პროექტის ხარვეზი: 1-10 ფასადზე 6-7 მონაკვეთში დამატებულია კარის ღიობი და შესრულებულია გეგმის ნახაზის მიხედვით.

ვ.ამისულაშვილი